№ 70
ხუთშაბათი, 1 აპრილი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 70
ხუთშაბათი, 1 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირას, 4 აპრილს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება ბ-ნ ი. გ. მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ

## ქართული სასულიერო კონცერტი

მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ.

გუნდი იგალობებს სხვა-და-სხვა ქართლ-კახურს საეკკლესიო საგალობლებს, დაწერილს ბ-ნ ა. ს. ბენაშვილისაგან.

გუნდში 60 ქალი და ვაჟია.

ბილეთების ფასი 4 მანეთიდგან 1 მანეთამდეა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ კანცელარიაში და სობრანიის მეკარესთან.

(3—უ.—2) დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ჰ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
ა. შ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის

საღამოობით:
გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენეღიური და კანის სნეულებ.
ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ)

## ტფილისის ვაჭართა სტაროსტა და იმის ამხანაგები

ამით აცხადებენ, რომ 21 მარტისათვის დანიშნული 1 და 2 გილდის ვაჭართა საზოგადო კრება, რომელსაც უნდა განეხილა შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1897—1898 წლებისა, აერჩია სტაროსტა და იმის ამხანაგები და კაცები დაენიშნა 1899 წლის ანგარიშის სარევიზიოდ, არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი ვაჭრებისა არ გამოცხადდა. ამიტომ ხელ-ახლა საზოგადო **კრება დანიშნულ იქმნა კვირას 4 აპრილისათვის**, დილის 11½ საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში. ამასთან არჩევანები უეჭველად მოხდება, რამდენი ვაჭარიც უნდა გამოცხადდეს.
(1—45—1)

### მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნა ფიცხელაური—ქ. განჯის მესამე ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

*** 30 და 31 მარტს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მე-III ხარისხის მსესხებელთ ამოარჩიეს რწმუნებულნი. მესამე ხარისხის რწმუნებულნი სამ ჯგუფად არიან დაყოფილნი და თითო ჯგუფმა ცალ-ცალკე უნდა აარჩიოს რწმუნებულნი. 30 მარტს პირველმა ჯგუფმა აარჩია, ხოლო გუშინ, 31 მარტს მეორემ. არჩეულ იქმნენ კენჭის ყრით 30 მარტს: ა. ი. ყარაბეგოვი, დ. ს. კორინთელი, ლ. ი. ბალბაშევსკი, ი. ს. ალხაზოვი, ი. ს. პაიჭაძე, თავ. ნ. გ. თარხან-მოურავი და მ. გ. თუხარელი, კანდიდატად ნ. ა. თეთრაძე. 31 მარტს: ს. ს. ფერნაძე, ი. ზ. ტატიშვილი, ი. ზ. ბაქრაძე, თ. ი. ჩეპიგოვსკი, ვ. ს. ბაისოღოლოვი, ა. ი. ნატროშვილი და თ. კ. ისაკაძე; კანდიდატად ა. კ. ცქიმანაური.

*** გუშინ წინ, 30 მარტს, სცენის მოყვარეებმა საგანგებო წარმოდგენა გაჰმართეს სახელმწიფო თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოადგინეს ქართულად „სძაგელი“, კომედია ორს მოქმედებად თავ. დ. გ. ერისთავისა, რუსულად: „Звѣзда падучая“, ერთ-მოქმედებიანი კომედია და დასასრულ გამართული იყო ცხოველი სურათები: „რუსთა კეთილშობილთა ქორწინება მაკოვსკისა“, ლერმონტოვის „დემონი“-დგან, „მაისის ღამე“ და „თამარ-მეფე და რუსთაველი“. პირველი ორი სურათი მოაწყო მხატვარმა ა.ი. შამშინოვმა.

როგორც ქართულს ენაზედ წარმოდგენილმა კომედიამ „სძაგელმა“, ისე რუსულმა ვოდევილმა კარგად იმოქმედა თეატრში მყოფ საზოგადოებაზედ. მშვენივრად შეასრულეს თავ-თავისი როლები კნ. ე. მ. წერეთლისამ (ბაპო), კნ. ი. ს. ფალავანდიშვილისამ (ელენე), ბ-ნმა გ. დ. ჟურულმა (ლევანი), თავ. ლ. რ. ვახვახიშვილმა (ფარსადან მებადე) და განსაკუთრებით კნ. ე. გ. ერისთავისამ (ანასტასია) და თავ. ა. რ. ვახვახიშვილმა (საბა ყლაპიაშვილი).

არა ნაკლების, თუ არ მეტის, სიამოვნებით იქმნა მოსმენილი რუსული ვოდევილი „Звѣзда падучая“, რომელშიაც ისეთის ხელოვნებითა და ცოდნით აღასრულა როლი პროვინციის მსახიობისა და ანტრეპრენერისა ბ-ნმა პ. ა. ოპოჩინინმა. ლამაზად იყო მოწყობილი ცხოველი სურათებიც, ასე რომ თითოეულის სურათის ნახვა საზოგადოებამ რამდენჯერმე მოისურვა, განსაკუთრებით მეოთხე სურათისა: „მეფე თამარი და რუსთაველი“, რომელსაც მაყურებელნი ალტაცებულის ტაშის ცემით მიეგებნენ.

წარმოდგენას დიდ ძალი ხალხი დაესწრო.

*** უკანასკნელს კრებაზედ ქალაქის გამგეობამ განიხილა თხოვნა ქალაქის მილის წყლის მეონკანეებისა, რომ ნება მოგვეცით კვირა-დღეობით ონკანები დავკეტოთ შუადღის 12 საათიდგან და დავისვენოთო. გამგეობამ სამართლიანად იცნო ეს თხოვნა, ხოლო ამასთან, მხედველო-

# ფელეტონი

### სომეხთა მეცნიერნი
და
### ქვათა ღაღადი

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს“...
რუსთაველი

(შემდეგი *)

### VI

ეს ხომ ვნახეთ ბ-ნი ეზოვი რა ხალისიანად ალაპარაკებს შარდენს, როცა ჩვენ გვაძაგებს და ავად გვიხსენიებს. ისიც ხომ ვნახეთ, როგორ მოსჭრა ენა ამავე შარდენს ამ განათლებულმა სომეხმა, როცა ჩვენზე ორიოდ სიტყვას კარგს იმეტებს. ისიც ვნახეთ, რომ არც ერთი ჩვენზე კარგის მთქმელი თვალ-წინ არ დაიყენა, რომ ქართველებზე კარგი არავინ გაიტაროს გუნებაშიო. ეს საოცარი მანქანა ბ-ნს ეზოვს კიდევ საკმარისად არ მიაჩნია. ახლა სხვა მოწამე მოიწვია ქართველების უფრო მეტად სახელის წახდენისათვის. ეს მოწამე გახლავთ განჯა-ყარაბაღის სომეხთა პატრიარქი ცხონებული ისაია.

რომ ღირებული ფასი დავდოთ ამ პატიოსანის მოწამის ჩვენებას და ბ-ნ ეზოვის ოსტატობას, საჭიროა ცოტა შორიდამ დავიწყოთ საუბარი და ერთი პატარა ხანა ამიერ-კავკასიის ისტორიისა გავიხსენოთ.

რუსეთის იმპერატორს პეტრე დიდს, კარგა ხანია თვალი ეჭირა სპარზედზე და ჰფიქრობდა აქედ რუსეთის ვაჭრობის განდიდებას და ამისათვის გზების შეძენას და გახსნას. მინამ შვედელებთან ომები ჰქონდა, რასაკვირველია, შორ მხედველი იმპერატორი ისე მხნედ ვერ მოეკიდებოდა ამ საქმეს, როგორც ჰსურდა და როცა ნიშტატის მორიგებამ 1721 წ. აგვისტოს 20-ს შვედელებთან საქმე გაათავა, მაშინ თითქმის მთლად მოიცალა თავისის დიდის ხნის სურვილისათვის, რომ სპარსეთზე გამოილაშქროს. განჯა-ყარაბაღი მაშინ მთლად სპარსეთის ხელში იყო და აქაური სომხობა, შეწუხებული სპარსთაგან, ჰცდილობდა თავი როგორმე დაეღწია და ამის გამო პეტრე დიდთან საქმე დაიჭირეს. სხვათა შორის ვარდაპეტი მინასა გაგზავნილი ჰყავნდათ პეტრე დიდთან და ეს ვარდაპეტი იყო პირდაპირი შუა-მავალი იმპერატორის მთავრობისა და სომხებ შორის—თვით რუსეთში, რომელსაც, თვით სომხების სურვილისამებრ, ჰპირდებოდა განჯა-ყარაპაღის გარდაცემას.

პეტრე დიდმა ამ ვითარებას საქმისას ხელი მოჰკიდა და მიზეზად ეს გაიხადა. ისიც იცოდა ამ ბრძენმა იმპერატორმა, რომ ქართველებიც აქ ხელს შეუწყობენ, რადგანაც საქართველოსაც ემძიმებოდა სპარსთა ასე ახლო ყოფნა და კარგი იყო განჯაყარაბაღიდამ გაერეკნათ სპარსები. რა თქმა უნდა, რუსეთთან, როგორც ერთ-მორწმუნე ერთან, მეზობლობა ერჩივნათ ქართველებს, ვიდრე სპარსებთან. ეს კარგად იცოდა პეტრე დიდმა და ამიტომაც სომხებს დაჰპირდა და ქართველებსაც აცნობა,—მე ჩემის მხედრობით მოვალ და თქვენც თქვენის მხედრობით მზად იყავითო. მიზეზიც კარგი გამოუჩნდა. შამახიას ამ დროს დაეცნენ ლეკები და ყაზი-კუმუხელები, რომელნიც მოიწვიეს იქაურთა მუსლემანთა. ლეკებმა მთლად აიკლეს შამახია და იქ მყოფნი რუსეთის ვაჭარნიც გასძარცვეს და ნახევარ მილლიონის ქონება წაართვესო, როგორც ეს აუწყა პეტრე დიდს ერთმა მისმა მოხელე რუსმა.

რაკი პეტრე დიდმა ეს ამბავი შეიტყო, ვახტანგს მეფეს მოსწერა, რომ მე ასტრახანიდამ წამოვალ და შენც, შენის აღთქმისამებრ, მომეშველე და შენის მხედრობით წამოდი განჯას საქრისტიანოს დასახსნელადაო და სიტყვითაც შემოეთვალა, ლეკების ჯავრი ამოიყარეო. ვახტანგმა შეჰყარა მხედრობა რიცხვით 30,000 კაცი და წავიდა ლეკებზე. ლეკებმა ჰნახეს ეს თუ არა, გაეცალნენ. მთელს ამ მოძრაობას ის ფერი დასდეს, ვითომც მარტო ლეკების დასასჯელად წავიდა ვახტანგი, რომ სპარსელებს ალლო არ ეღლოთ და არ მომზადებულიყვნენ. თვით სპარსელებს, ვითარცა შიიტებს, ეჯავრათ ლეკები, ვითარცა სუნიტების, შესევა შამახიაში და ვახტანგის მადლობელნიც დარჩნენ, რომ ასე მოიქცა. ლეკებთან რომ საქმე გაათავა, ვახტანგმა მერე დაიბანაკა განჯასთან და აქ ელოდდა პეტრე დიდსა ასტრახანიდამ. იმპერატორს პეტრეს რაღაც საქმე აღმოუჩნდა შიდა რუსეთში და უეცრად ასტრახანიდამ შინ დაბრუნდა და ვახტანგს აუწყა კულავ მოვალო. იმედგადაწყვეტილი ვახტანგი უკან წამოვიდა ტფილისს.

პატრიარქი ისაია ამ ვახტანგის ამბავს სწერს რუსეთში ვარდაპეტს მინასას, რომელიც წინად მოვიხსენიეთ, რომ ვახტანგი 30,000 კაცით მოვიდა და წავიდა ლეკებზედაო. მეც თან გავყევიო. მივედით თუ არა, ლეკები გაგვეცალნენო. მერე როცა ვახტანგი იმედ გადაწყვეტილი, რომ პეტრე დიდი აღარ მოვაო, დაბრუნდა ტფილისში, ისაია პატრიარქიც თან გამოჰყოლია და მთელი ოთხი თთვე დარჩენილა ტფილისს. იმავე წერილში ისაია აუწყებს ვარდაპეტს მინასას, რომ ვახტანგი სექტემბრის ბოლოს ხელ-ახლად აპირობს წასვლას განჯისაკენ და თან მიჰყავს ქართველების და სომხის მხედრობაო; ეხლა ქართველები და სომხები სულით და გულით ერთნი არიანო, ერთმანეთის თანაგრძნობით სავსენი და მარტო პეტრე დიდის მოშველებას-ღა ელიანო. შენც მანდ ეცადეო.

მეორედ წავიდა ვახტანგი თუ არა, ამას თავი დავანებოთ. ბ-ნი ეზოვი ვახტანგის პირველ გამხედრების გამო ასე ამკობს ქართველებსა თავისის მხრით. თათრების დასასჯელად, რომელთაც ლეკები მოიწვიესო, ვახტანგმა ნება მისცა თავისს მხედრობას თათრების დარბევისაო. ქართველები დაერივნენ მთელს ადგილებს ტერ-ტერის წყლამდეო, საშინლად აოხრეს და ნარბევს ურმებით ეზიდებოდნენო. ქართველები იკლებდნენ და სძარცვავდნენ არამც თუ მარტო თათრებს, ქრისტიანებსაცაო. როცა ქართველების ჯარი სომხების სოფლებს ახლო გაუვლიდაო, ხალხი წინ მოეგებებოდა ხოლმე, წინ მოუძღოდა ხალხს შემოსილი სამღვდელოება ჯვრებით, სანთლებით ხელში, ზარის რეკით და ერთის ყოფით და ამბითაო. ქართველები-კი მიესევოდნენ, სძარცვავდნენ, სტაცებდნენ სამოსელს, საეკკლესიო წიგნებს, ნივთებს და მთელს ქონებასაო. „ამ სახითაო, რაც გადარჩათ ლეკებს, სწერს პატრიარქი ისაიაო, ის ყოველივე გააჩანაგა ხარბმა, გაუმაძღარმა და შეუბრალებელმა ქართველმა ერმაო“.

ამას თურმე სწერს პატრიარქი ისაია ვარდაპეტს მინასას-კი არა, თავისს მოკლე ისტორიაში. ესეც დასახსომებელია. სომეხთა მეცნიერებს

*) იხ. „ივერია“ № 69.

ბაში მიიღო რა ის გარემოებაც, რომ ძნელია მცხოვრებთათვის წყლის მოკლება, დაადგინა, რომ ერთ კვირა-დღეს ერთი ნახევარი ონკანებისა დაჰკეტოს და მეორე კვირა დღეს მეორე ნახევარი. ამ გვარად, თითოეულს მეონკანეს ორს კვირაში ერთი დღე ექმნება თავისუფალი. ამასთან გამგეობამ აცნობა მეონკანეებს, რომ თუ განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა, დასვენების დროსაც დაბარებული იქნებით ონკანის გასაღებადაო.

*** გუშინ, 31 მარტს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ბავშვთა მზრუნველ „საზოგადოების“ შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება დავრთეთ, რომ ალექსანდრეს ქვემო ბაღში მოედანი გავაკეთოთ ბავშვთა სათამაშოდაო, და დაადგინა: ეს თხოვნა უყურადღებოდ იქმნას დატოვებული, რადგან გამგეობა თვითვე სცდილობს აღკვეთოს უადგილოდ მყოფ მოსამსახურეთა თავის მოყრა ამ ბაღში და ისე მოაწყოს ბაღი, რომ იგი საზოგადოების სასეირნოდ და ბავშვთა სათამაშოდ იყოს. ქალაქის გამგეობის აზრს არ დაეთანხმა ქალაქის მოურავი და ამბობდა, რომ შუამდგომლობა „ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებისა“ უნდა დავაკმაყოფილოთო; თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, გამგეობის წევრი, იმ აზრისა იყო, რომ „საზოგადოებას“ ნება უნდა დავრთოთ ბავშვთა სათამაშოდ გამოიყენოს ის მოედანი, რომელიც აუზს ახლოა ალექსანდრეს შუა ბაღშიო.

*** გუშინდელსავე კრებაზედ ქალაქის გამგეობამ შესაწყნარებლად არ იცნო „პურ-ღვინოს“ პატრონის ა. მამინაიშვილის შუამდგომლობა, აღძრული მის მიერ 1897 წ. იმის შესახებ, რომ ნება დამრთეთ ალექსანდრეს ბაღში ფარდული გავმართო საჭმელებისა და სასმელების გასასყიდადაო.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ როგორც შარშან, წელსაც გამართა სოფ. ველისციხეში, კარდანახსა და კაკაბეთში საწყობები შაბიამანის, გოგირდის და ვენახის საწამლავად საჭირო იარაღისა.

*** 1-დგან 15 აპრილამდე ქალაქის გამგეობაში დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე გამოკიდებული იქმნება სია იმ ყმაწვილ-კაცთა, რომელნიც ამა 1899 წელს ქ. ტფილისიდგან სამხედრო ბეგარის გარდასახდელად უნდა იქმნენ გაწვეული.

*** ის საზოგადოება, რომელსაც ეკატერინოდარიდგან სოხუმამდე რკინის გზის გაყვანის ნება მიეცა, მუშაობას ამა წლის გაზაფხულიდგან შეუდგება.

*** ფინანსთა სამინისტრომ შეიწყნარა ტფილისის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შეცვლილ და დამატებულ იქმნას ამ საზოგადოების წესდების მე-17 §. ახალის პარაგრაფის ძალით საზოგადოებას ნება ეძლევა: 1, მიიღოს ფული სასარგებლოდ უვადოთ და ვადიანად და აგრეთვე მიმდინარე ანგარიშზედ არა მარტო საზოგადოების წევრთაგან, როგორც აქამდის იყო, არამედ გარეშე კაცთაგანა და სხვა და სხვა დაწესებულებისაგანაც; 2, დააგიროს თავისი საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები სხვა საკრედიტო დაწესებულებაში და აგრეთვე გადააგიროს სარგებლიანი ქაღალდები, რომლებიც საზოგადოებას მიუღია გიროდ კერძო კაცთაგან, ხოლო მათისავე თანხმობითკი და 3, გადააგიროს სხვა საკრედიტო დაწესებულებაში გიროდ მიღებული საქონელი და სასოფლო სამეურნეო ნაწარმოები გიროს შემომტანთა თანხმობით.

*** ამა 1899 წელს ქალაქ ტფილისს, გამგეობის გამოანგარიშებით, შემოსავალი ექმნება 1,158,944 მანეთი, ხოლო საფინანსო კომისიის გამოანგარიშებით—1,253,841 მან.

*** ბორჩალოს მაზრიდგან სწერენ „ტფ. ფურ.“-ს: რამდენმამე სოფლის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ იმათ სოფლებში დაარსებულ იქმნას სასოფლო სასწავლებლები. სარვანისა და სადახლოს სოფლის საზოგადოებანი მიწის ნაჭერსაც კი უთმობენ სასწავლებლებს და შენობის აგებასაც ჰპირდებიან. კერძო კაცები და მემამულენიც მოწადინებული არიან შეწეობა აღმოუჩინონ სკოლებსაო.

*** როგორც საეპარქიო სამისწავლო საბჭოს ანგარიშიდგანა სჩანს, 1897/8 სამოსწავლო წელს ამიერკავკასიის 4 გუბერნიასა და ორ ოლქში—ტფილისისა, ბაქოსა, განჯისა, ერევნისა, ყარსისა და იმიერ კასპიისაში, სულ 132 სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელი ყოფილა, ამათგან 101 ერთ-კლასიანი, 25—წერა-კითხვის სკოლა და დანარჩენი—ორ-კლასიანი. ეს სკოლები ასეა განაწილებული: ტფილისის გუბერნიაში—89, ბაქოს—12, განჯის—4, ერევნის—6, ყარსის ოლქში—20 და იმიერ კასპიის ოლქში—1. ყველა სკოლაში საანგარიშო წელს სულ 210 მასწავლებელი ყოფილა.

*** 29 მარტს ჯიბგირებმა მოტყუებითა და ეშმაკობით გაჰქურდეს ტფილისში პირველად ჩამოსული სოფლელი ს. ნებაძე. ნებაძე ქუჩაში უცნობს შეჰხვდა, რომელმაც კოჯორის ქუჩაზედ წაიყვანა. აქ მეორე უცნობმა გაიარა და ვითომ უცბედად ქისა დააგდო. პირველმა აიღო ქისა და უთხრა ნებაძეს, გავიყოთ ფულიო. არ გასულა ბევრი ხანი, რომ ქისის დამკარგავიც მოვიდა და ნებაძეს ჩხრეკა დაუწყო. ამ ჩხრეკის დროს 11 მანეთი მოჰპარა. მეორე დღესაც ასევე გაჰქურდეს ნებაძე იზმაილოვის ქუჩაზედ. ნებაძემ იცნო წინანდელი ქურდი, დაიჭირა და ჯოხით ძალიან სცემა, მაგრამ ქურდი მაინც გაუსხლტა და დაიმალა.

*** გუშინ, 31 მარტს, დაასაფლავეს, უეცრად გარდაცვალებული ქალაქის მე-8 ნაწილის პოლიციის ბოქაული ი. ი. სამუსი. მიცვალებულის გვამი გაასვენეს სასაფლაომდე ამქრებმა საამქრო დროშებით, ტფილისის პოლიცმეისტერმა, მისმა თანაშემწემ და დიდ მალმა ხალხმა.

*** როგორც „გაზ.“ ატყობინებენ, სიღნაღის მაზრის სოფ. კოდაგში სახადი გაჩენილა. ამ სენით მრავალნი გამხდარან ავად.

*** 30 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ტფილისის მოქალაქეთა ეკატერინე ნონიკოვისა და იოსებ მუხადოვისა, რომელთაც მევახშეობა ჰბრალდებათ. როგორც მკითხველებს ახსოვთ, ეს საქმე ოლქის სასამართლომ განიხილა 1897 წელს, დამნაშავედ სცნო ბრალდებულნი და მიუსაჯა ყოველსავე უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და დაპატიმრება: მუხადოვს—10 თვით და 20 დღით, ხოლო ნონიკოვს—5 თვით 10 დღით. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** 30 მარტს, ავჭალის ქუჩაზედ, სასმელების დუქნის პატრონს ბარათაშვილსა და ზაბელაშვილს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც ზაბელაშვილმა რევოლვერი ესროლა ბარათაშვილს და მძიმედ დასჭრა.

## დაბა სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ტყემლოვანა,** (შორაპნის მაზრა). ამ ოთხ-ხუთის წლის განმავლობაში ორჯელ შეიკრიბა აქაურ გლეხკაცობაში ფული სკოლისა და კანცელარიის შესაკეთებლად, მაგრამ ორივეჯერ გადაიჭამა. ბოლოს მთავრობამ ძალა დაატანა მცხოვრებლებს, რომ შენობები დაშლილიყო და შეეკეთებინათ, რის გამოც მესამედაც გადასცეს ათასი მანეთამდე. მაგრამ, რადგან სოფლის მოხელეებისაგან დაშინებული იყო ხალხი, იმ პირობით გაიწერა ფული, რომ იმის დახარჯვისათვის ადგილობრივ პოლიციის ბოქაულს თვალ-ყური ედევნებინა. ეხლაც თუ გაიფლანგა ფულიო, ხალხმა სიტყვა დასდო, მერმე აღარ გავიწერთ, რაც უნდა გვიყონო. ბ-ნმა ბოქაულმა მინდობილება შეასრულა და ავად იყო თუ კარგად, სოფელმა სკოლაც და კანცელარიაც შეაკეთა.

ამას წინად სამინისტრო სკოლების მეთვალ-ყურემ ჩამოიარა აქ და ძალიან მოეწონა, როცა სკოლის შენობა შეკეთებული ნახა. ბ-ნი მეთვალყურე ასის მანეთის შეჰპირდა სოფელს მასწავლებლისათვის ერთის ოთახის გასაკეთებლად სკოლასთან. ეს ფული კიდეც გამოუგზავნა მან ადგილობრივ ბოქაულს, რომელმაც მასწავლებელს ილიას წერეთელს გარდასცა იგი, მაგრამ ოთახი ჯერ არ გაკეთებულა და არც არავინ ჰფიქრობს გაკეთებას.

შარშან-წინ აქაურმა მამასახლისმა და მწერალმა ერთი ახალგაზრდა კაცის ნაცვლად, რომელიც ჯარის-კაცად იყო გასაგზავნი, მეორე მისწერეს მთავრობას ხელში. ეს საქმე თუმცა კარგა ხანს იყო მიჩუმებული, მაგრამ ბოლოს მაინც გამოაშკარავდა, რის გამოც მამასახლისიც და მწერალიც სამსახურიდგანაც დაითხოვეს და პასუხის გებაშიაც იქმნენ მიცემული.

წრევანდელმა ზამთარმა აქეთ მშვიდობიანად ჩაიარა. ამინდები ეხლაც კარგია, მაგრამ გზები ისეა გაფუჭებული, რომ შეუძლებელია სიარული, და არც არავინ ჰზრუნავს იმათის შეკეთებისათვის. აქაურ სოფლებში გავრცელებუ-

ისტორია, როგორც ეტყობა, ერთია და მართალი და ჭეშმარიტება სხვა. ამას ქვევით დავინახავთ.

იქნება მართალია, რომ ქართველები ხარბნი, გაუმაძღარნი და შეუბრალებელნი იყვნენ და არიან. იქნება ისიც მართალია, რომ ქართველებმა აიკლეს სომხები, დაძარცვეს და გააუპატიურეს მათი სამღვდელოება, არ დაინდეს მათი საეკკლესიო წიგნები, სამღვთო ნივთები და ამ გვარად შებღალვეს მათი სარწმუნოება. ხოლო ეს გვიკვირს და საოცარიც არის: ამისთანა ავაზაკური საქციელი როგორ არ აუწყა ისაიამ ვარდაპეტს მინასსა მაშინ, როცა ვახტანგის ამბებსა სწერდა და როცა, ვითა გუშინდელი ამბავი, უფრო მწვავად გულში მოდებული ექმნებოდა, ვიდრე მაშინ, როცა ისტორია უწერია, ესე იგი, როცა დროჟამი უკვე სიმწვავეს დაანელებდა და დაამებდა ცოტად თუ ბევრად. განა ნამეტანობისაგან გულისა ბაგეთ არ უნდა ემეტყველნათ მაშინ, როცა გული უფრო სავსე ჰქონდა ჯავრითა და წყრომითა? ესეც იქით იყოს. ხოლო ეს სულიერი ბატონი და პატრონი სომხებისა, ეს მათი თავი და თავი, ეს უპირველესის ხარისხის კაცი, ეს მათი მწყემსთ მთავარი თან გაჰყოლია, ბ. ნ. ეზოვისავე სიტყვით, ვახტანგის ხარბს, გაუმაძღარს და შეუბრალებელს ერსა, ქართველების კალთას შეჰკედლებია და ტფილისში შეუფარებია თავი მთელს ოთხს თთვეს. ისტორია ისაია პატრიარქს როგორ დავუჯეროთ, როცა ასეთი გარემოება წინ გვიდგა.

სწორედ მოგახსენოთ, ცალის მხრით დიდი სიყვარული ჰქონია თავისის ერისა, დიდი პატივი თავისის სამწყსოს სარწმუნოებისა, სამღვდელოებისა, რომ სომხის ამკლებელს, სომხის გამძარცველს, სომხის სამღვდელოების გამაუპატიურებელს, სომხის სარწმუნოების შემბღალველს ერს თან გამოჰყოლია, მისი კალთა დაუჭერია. მეორეს მხრით დიდი ვაჟკაცი ყოფილა, რომ ხარბს, გაუმაძღარს და შეუბრალებელს ჯარს, თუ ერს მინდობია. თუ მართლა იმისთანა საშინელი და უკადრისი ამბავი დაჰმართეს, რაღა გული აძლევდა ნებას, რომ ამისთანა დაუნდობელს და საძაგელს ერს მხარს უმშვენებდა და თან-მისდევდა. რა პასუხი-ღა უნდა მიეცა დარბეულ, აკლებულ და გაუპატიურებულ სომხებისათვის, როცა ამისთანა ნდობით ექცეოდა, პატივს აძლევდა დამარბეველს, ამკლებელს და სარწმუნოების გამაუპატიურებელ ერსა.

აბა ერთის მხრით, ეს გაძარც-გაგლეჯა სომხებისა, ეს გაუპატიურება მათის სარწმუნოებისა, ეს აკლება მათის სამღვდელოებისა, ეს სამღვთო და საეკკლესიო ნივთების შეგინება და მეორეს მხრით ასეთი ტკბილი განწყობილება სომხთა მამა-მთავარისა ერთმანეთს პირში წაუყენეთ და სამართალი ისე ჰქენით, თუ ის არ გამოვიდეს: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო. განა შესაძლებელია ერთი, თუ მეორე არის და მეორე, თუ პირველია?! ბ-ნი ეზოვი რას დაგიდევთ? ხომ გამოლანძღა ისაია პატრიარქის მოწმობით ქართველები და სხვა რაღა მოეთხოვება სომხთა მეცნიერსა.

თუ მართლა ქართველებმა ასე საძაგლად იჩინეს თავი და ეს ყოფა დააწიეს სომხებს და სომხის სამღვდელოებას, მაშ რაღა სწერს ესევე მართლ-მოყვარე ისაია პატრიარქი ვარდაპეტს მინასას, ვით სასიხარულო ამბავს, რომ მეფე ვახტანგი ხელ-მეორედ აპირებს თავისის მხედრობით განჯაში წასვლას და შენც მანდ, რუსეთში შეეცადეო. განა ასეთი სასიხარულო იყო ხელ-მეორედ მისვლა იმისთანა ჯარისა, რომელმაც პირველში აიკლო, გააჩანაგა სომხობა და მისი სამღვდელოება დაატყავა. თუნდ ამანაც თქვენი ჭირი წაიღოს. ის რაღაა, რომ იგივე ისაია ეფიცება მინასას, რომ ეხლა ქართველები და სომხები ერთმანეთის სიყვარულით ერთმანეთს გულში უსხედანო. რა სასწაულმა გარდაჰქმნა ასე ანაზდეულად, ასე უცბად ხარბი, გაუმაძღარი და შეუბრალებელი ქართველი ერი ასე ერთსულ და ერთხორც სომხებთან. ნუ თუ ქართველებმა ეგრე ერთს წუთს, ეგრე მალე მოიშალეს თავისი საძაგელი ხასიათი და სომხებმა ეგრე მალე დაიჯერეს, რომ ეს ხარბობა, გაუმაძღრობა, შეუბრალებლობა თან აღარ გაჰყვებათ ქართველებს!

ვარდაპეტი მინასა არც ერთ თავისს მოხსენებაში, რომელიც კი წარუდგენია პეტრე დიდის მთავრობისათვის, ერთის სიტყვითაც არ ამბობს სამდურავს ქართველებზე. პირიქით, ერთს თავისს მოხსენებაში, სხვათა შორის, იწერება: „ტფილისიდამ გვწერენო, რომ ვახტანგის დიდად მადლობელნი არიან, ჩვენ, სომხებს დიდის სიყვარულით და მოწყალებით გვეპყრობაო[1]“. ვთქვათ, აქ პოლიტიკურ საზრისის გამო დაუმალა მინასამ პეტრე პირველს ავ-კაცობა ქართველებისა, ქებას მაინც არ მოაჰორებდა.

მართალია, ვარდაპეტი მინასა შორს იყო და შესაძლოა არა იცოდა-რა ქართველების ავ-კაცობისა, ეს არქიეპისკოპოზი სომხებისა მინას პერვაზიანი ხომ დამსწრე და თვალით მნახველი იყო, როცა ვახტანგი მიესია ლეკებს და გარეკა. ეს არქიეპისკოპოზი არამც თუ ემდურება რასმეს ქართველებსა, არამედ მადლობითაცკი იხსენიებს: „ღმერთმა ეხლა მწყემსად და პატრონად მოგვცაო ვახტანგი. ეს გვიხსნის და გვფარველობს მტრებისაგან, ამან გაგვიდევნა მტერნი, ერთად თავი მოუყარა სომხებს და თვითონ გვპატრონობს და გვიფთხილდებაო“.[2])

ეს არქიეპისკოპოზი სომხებისა ვახტანგთან ერთად იყო განჯაში და იქიდამაც ისაია პატრიარქსავით თან გამოჰყვა ტფილისს. მაშასადამე, ეს ორნივ მამა-მთავარნი სომხებისა თვალით მნახველნი მოწამენი არიან ყოველ იმისი, რასაც ქართველები მაშინ ჩაიდენდნენ. ერთი ამბობს, — ხარბმა, გაუმაძღარმა და შეუბრალებელმა ქართველებმა მთლად აიკლეს სომხობა, სარწმუნოებას ჩვენსას უკადრისად მოექცნენო და მეორე-კი მადლობით იხსენიებს და ღვთის წყალობადა სთვლის, რომ ვახტანგ მეფე პატრონად და მწყემსად მოუვლინა სომხებს, დაახსნევინა იგინი მტრებისაგან, გვივლის და გვიფრთხილდებაო. რა თქმა უნდა ყოველ ამ სიკეთეს ვახტანგი მიანიჭებდა სომხებს თავისის ერის შემწეობითა და შველითა, თორემ მარტო ერთი კაცი რას იზამდა.

ბ-ნი ეზოვი როგორ მოექცა ამ ორს ერთი მეორის უარ-მყოფელს, ერთი მეორის უმგზავსო მოწმობას? აქ მართალი მეცნიერი ორში ერთს იქმოდა: ან არც ერთს არ დაუჯერებდა, თუ მეტის-მეტს სიფრთხილეს წაელებინებოდა, ან თუ ერთს იმოწმებდა, მეორესაც ხმას ამოაღებინებ-

[1]) იხ. მინასას მოხსენება 1722 წ. დეკემბრის 9-სა.

[2]) იხ. წერილი მინას პერვაზიანისა 1722 წ. დეკემბრის 12-ს დღესა.

ლის უკავილი, რომელმაც რამდენიმე სული იმსხვერპლა. საჭიროა ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

წიფერჩელი

# უცხოეთი

—

**იტალია.** გაზეთების სიტყვით, იტალიის მთავრობასა და დეპუტატთა პალატას შორის ისეთი სადავო დამოკიდებულება არსებობს ამ ჟამად, როგორიც იშვიათს მოვლენას შეადგენს პარლამენტარულ ცხოვრების ისტორიაში. პარლამენტის უმეტესობას არ მოსწონს პელუს პოლიტიკა, მაგრამ კრიზისის მოხდენა მაინც არ უნდა. ამის გამო ყველა თვალ-საჩინო საგანს, რომლის განხილვა სამინისტროს ბოლოს მოუღებდა, პალატა გარს უვლის. წარსულ დეკემბერში მინისტრ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი პროექტი არჩევანების ცვლილებათა შესახებ პალატის არც ერთმა ბიუროამ არ მოიწონა, და პელუ დასთანხმდა, პალატის მიერ განუხილველად ეს პროექტი არხავს ჩაებარდეს. საფინანსო პროგრამა მთავრობისა სრულებით არ მოიწონა საბიუჯეტო კომისიამ, და რათა სამინისტრო კრიზისი თავიდგან უოფილიყო აშორებული, ამ პროგრამის განხილვა ნაადგომევისათვის გადაიდვა. კაბინეტის საპოლიტიკო პროექტები სულ ერთიან იცვლება კომისიებში, და კაბინეტი სულგრძელად ითმენს ყოველსავე ამას.

გაზეთები იმ აზრის არიან, რომ მთავრობა ნაადგომევს უთუოდ მოინდომებს ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობიდგან გამოსვლას და პალატას დაეკითხება, მენდობი, თუ არაო, რათა დარწმუნდეს რამდენი დეპუტატი ჰყავს მომხრე და რამდენი წინააღმდეგიო.

—

**საბერძნეთი.** საბერძნეთსა და ოსმალეთს, ერთმანეთ შორის დადებულ სამშვიდობო ხელ-შეკრულობის ძალით, ახალი ხელ-შეკრულობა უნდა შეემუშავებინათ ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ. რაღა თქმა უნდა, ეს კონვენცია უნდა შეეხებოდა სავაჭრო, სამრეწველო და სასახლშენო საქმეებს. მაგრამ, როგორც იუწყებიან, საბერძნეთ-ოსმალეთის წარმომადგენელნი ვერ შეთანხმებულან ვერც ერთი საგნის შესახებ, რის გამოც კონვენციის შედგენის საქმეს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. ამის გამო საბერძნეთის მთავრობას აზრად აქვს თურმე, თავისი წარმომადგენლები დაიბაროს კონსტანტინეპოლიდგან და პორტაზედ საჩივარი მიართვას დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი უწერიათ სამშვიდობო ხელშეკრულობაზედ და რომელნიც ვალდებულნი არიან დაიცვან ყველა მუხლი ამ ხელშეკრულობისა.

საბერძნეთის ქვეშევრდომნი ოსმალეთში თანდათან უფრო ცუდს მდგომარეობაში ვარდებიან თურმე, რადგან საბერძნეთის კონსულები კანონიერ წარმომადგენლებად არ უცვნია პორტას იმ მიზეზით, რომ კონსულების შესახებ ჯერ ხელშეკრულობა არ არსებობს საბერძნეთ ოსმალეთის შორისო. საბერძნეთის ქვეშევრდომ ბერძნებს ხშირად პასუხის გეშში აძლევენ თურმე უფრო ლად უმიზეზოდ და საპყრობილეში ამწყვდევენ. ხიოსის კუნძულზედ ისეთს სისასტიკემდე მიაღწევია ამ გვარ მოქმედებას, რომ საბერძნეთის კონსულს რამდენჯერმე უთხოვნია თავისის მთავრობისათვის, წამიყვანეთ აქედგან, რადგან ჩემს აქ ყოფნას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს საბერძნეთისათვისო. ხიოსიდგან დეპუტაცია მისულა ათენაში მინისტრ-პრეზიდენტთან და უთხოვია, რომ მთავრობამ მოახერხოს როგორმე, რათა ოსმალეთის მიერ აღიარებულ იქმნას საბერძნეთის კონსულების უფლებანი, ხოლო თუ ეს არ მოხერხდება, იშუამდგომლოს დიდ სახელმწიფოების წინაშე, იმათ კონსულებმა გაუწიონ მფარველობა საბერძნეთის ქვეშევრდომთაო.

—

**დანია.** ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ ტყუილი არის ის ხმებიო, ვითომც დანიას აზრად ჰქონდეს ერთ-ერთი ნავთ-სადგური იჯარით აიღოს ჩინეთისაგან და ამ აზრის შესასრულებლად ერთს თავისს კრეისერს ჰგზავნის აზიის შორეულს აღმოსავლეთში პრინცის ვალდემარის უფროსობითო. როგორც ამტკიცებენ, პრინცი ჩინეთში კი არ მიდის, არამედ სიამში, რათა პატივი სცეს სიამის მეფეს, რომელიც ხელს უწყობს თურმე დანიის სავაჭრო საზოგადოებას შორეულს აღმოსავლეთში და რომელიც წელიწად-ნახევრის წინ ეწვია დანიის მეფეს. ჯერ გარდაწყვეტილი არ ყოფილა—ეს გემი ჩინეთისა და იაპონიის წყლებშიაც წავა, თუ არა, მაგრამ ადვილი შესაძლებელია წავიდეს.

—

**კიპრი.** როგორც ათინიდგან ატყობინებენ გაზეთებს, კიპრის მცხოვრებლები დიდად აუღელვებია შემდეგს გარემოებას: ბრიტანიის მუზეუმის წევრები მისულან კიპრზედ და პაფოსიან ძველი ნაშთების საპოვნელად მიწის თხრა დაუწყიათ. კიპრელები დიდი წინააღმდეგნი არიან, რომ მათის ქვეყნიდგან ძველი ნაშთი იქმნას გადატანილი ინგლისში და თხოულობენ, ეს ნაშთი ისევ აქაურს მუზეუმში დარჩესო. იმათ გარდაუწყვეტიათ, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ძალასაც დავადგეთ, ოღონდ ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიურ ნაშთებს ნურავის დავანებებთო.

—

## პასუხად ბ-ნს წყალტუბელს.

უკეთუ ურთიერთარს იკბინებოდეთ, უკეთუ ურთიერთარს იჭამებოდეთ, იხილეთ, რათა არა განილინეთ!

(ეპ. პავლე მოციქულისა გალატელთა მიმართ 5, 15.)

დასასრული *)

ასეთი უზარ-მაზარი ყუმბარა ესროლა ჩვენს წიგნს კრიტიკოსმა, მაგრამ თავადვე კი დაიჭრა მისის ნატეხებით; სარმა გამოსდო ჩვენს სახელმძღვანელოს, მაგრამ თვითონვეკი ძირს დაეცა. დ ვით წინასწარმეტყველისა არ იყოს, „მახეი განმზადა ფერხთა ჩვენთათვის... მთხრებლი სთხარა წინაშე ჩვენსა და თვითი-კი შთაითხინა“.

დანარჩენი შენიშვნები განხილვა დაც არა ჰღირს.

რეცენზენტი ჰბრძანებს, საცა შედარებულია მატიანეს მოთხრობა დიმიტრი თავდადებულის შესახებ და ილია ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავდადებული“, რატომ იქვე არ დაჰბეჭდეთ ეს პოემა, ან რამდენიმე მისი კარი და მხოლოდ შინაარსი გაქვთ ნაამბობი პოემისაო. პოემა დაბეჭდილია დამატებაში და, ვგონებთ, სულ ერთია, წიგნის 38 გვერდზედ იქნებოდა იგი დაბეჭდილი, თუ 308-ზედ. არა გვგონია, ისეთი გაუგებელი, მიუხვედრელი მასწავლებელი იყოს სადმე, რომ ვერ მოიფიქროს და არ წააკითხოს აქ შეგირდებს თვით პოემა. აკი იმიტომაც დიდ სულგრძელობით მოგვიტევეთ ეს შეცდომა, როცა ბრძანეთ: „შეძლება ეს შეცდომა (?) ვაპატიოთ ჩვენის სიტყვიერების შემდგენლებს, რადგანაც ილია ჭავჭავაძის პოემა „დიმიტრი თავ-დადებული“ ჩართული აქვთ დამატებაში და უფიქრიათ, იქ წაიკითხავენ შეგირდებიო“. დიაღ, სწორედ აგრე გახლავთ. გამოცანა გეგებათ.

მაგრამ დიდი მანძილი კი არა ჰქონია თქვენს დიდ-სულოვნებას. პატარა ხანს უკან ისევ გვიწყრებით სწორედ ზემოხსენებულისთანა შეცდომისათვისვე, რომელიც ისეთის დიდ სულოვნობით მოგვიტევეთ. თქვენა ბრძანებთ:

მაგრამ სხვაგან-კი ისე მოქცეულან, რომ ვერაფრით ვერ გავამართლებთ. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი, მაგ., ნიმუშებისათვის „კრებულისა“, „ივერიისა“, და „ჯეჯილის“ საძებნელად ჰგზავნიან მოწაფეებს. მაგალითად, როცა საგმირო თქმულებათ განმარტავენ, ნიმუშის შესახებ აი რასა სწერენ: იხილე „კრებული“ აკაკისა, „ივერია“ 1888 წლ. ზღაპრების ნიმუშების შესახებაც ასე ბრძანებენ: იხილე „ჯეჯილი“ 1898 წლ. IV, „ჯეჯილი“ 1890 წლ. წ. I, აკაკის „კრებული“ 1898 წლ. № VI და სხ.

მოჰყავს რეცენზენტს ეს ადგილები ჩვენის სახელმძღვანელო წიგნისა და ასე გვისაყვედურებს:

ეს-კი, სწორედ მოგახსენოთ, სახელმძღვანელოში სრულიად შეუსაბამოა და, ვგონებთ, პირველი მაგალითი უნდა იყოს ქვეყანაზედ!

ერთი ვკითხოთ კრიტიკოსს, ის კი შესაბამი საქმეა, რომ რეცენზენტმა მთლად წიგნი არ გადაათვალიეროს და ისე აიღოს კალამი ხელში რეცენზიის დასაწერად?! თქვენ კი სწორედ ასე მოქცეულხართ. თქვენ რომ წიგნი თავიდან ბოლომდე გადაგეთვალიერებინათ, ყველა ზემოხსენებულს ნიმუშს დამატებაში ჰნახავდით და, მაშასადამე, მიხვდებოდით კიდეცა, რომ არც შეგირდებსა და არც მასწავლებელს შორს წასვლა აღარ ეჭირვებათ ჯეჯილ-ივერიისა და აკაკის კრებულის საძებნელად.

ახლა მოგახსენებთ, ეგ, თქვენის სიტყვით, „იშვიათი შეცდომა“ როგორ მოგვივიდა: სახელმძღვანელოს ბეჭვდა რომ დავიწყეთ, ავნუსხეთ ის ნიმუშებიც, რომელიც დამატებაში უნდა მოგვეთავსებინა, მაგრამ რადგან ნიმუშების რიცხვი ბევრი იყო და არ ვიცოდით, სახელდობრ, რომელს მოვათავსებდით დამატებაში და რომელს არა, იქვე ვაჩვენეთ წყარო, საცა უნდა მოეძებნა მასწავლებელს ესა თუ ის ნიმუშები, ვინიცობაა დამატებაში არა ყოფილიყო; მოენახა ის წყარო, თუ დასჭირდებოდა, მიეტანა კლასში და წაეკითხებინებინა შეგირდებისათვის. მაგრამ მერე განვსაჯეთ, რომ სჯობია ბლომად იყოს ნიმუშებიო; მართალია წიგნი გაიზრდება, მეტად ბევრი დაჯდება, მაგ-

*) იხ. „ივერია“ № 69.

---

და. ბ-ნი ეზოვი-კი სწორედ ისე მოიქცა, როგორც არ უნდა მოქცეულიყო. ქართველების მძაგებელი და ავად-მხსენებელი ალაპარაკა და ქართველების მადლიერი განგებ გააჩუმა. რა ჰქვიან ამის თანა საქციელს, არ ვიცით, ეს-კი აშკარაა, რომ „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაც გინდ მაღლა თაროზე დასდო“ და დიპლომი მეცნიერებისა შუბლზე მიაკრა.

ყველა, ყველა და უადგილო არ იქნება ერთი ეს ვიკითხოთ: ვთქვათ ქართველები, ბ-ნ ეზოვის სასიხარულოდ, ყოვლად საძაგელნი არიან, ხოლო, ქართველების საძაგლად ხსენება იქ რა შუაშია, საცა საუბარია О сношеніяхъ Петра Великаго съ Армянскимъ народомъ? ქართველების საძაგლობა აქ რა ხიდია ამ „сношеніе“-სათვის? უამისოდ გზა არ იყო? ჩვენი საძაგლობა აქ რად არის ჩაჩხირული? რისთვის დასჭირებია ეს ბ-ნს ეზოვს? აშკარაა იმისთვის, რომ ვაი თუ მეორედ აღარ მეღირსოს წერა და შემთხვევა როგორ დავკარგო ერთი პანღური მაინც არ შევაწიო ჩვენს საყვარელს ძმებს—ქართველებსაო.

თუ მართლა ეს ასე არ არის, მაშ რა მიზეზით და ლოღიკით აიხსნება ერთი სხვა უცნაური გარემოებაც, რომ წიგნში, რომელსაც თვითონვე დაარქვა „Сношенія Петра Великаго съ Армянскимъ народомъ“, ბ-ნი ეზოვი მეფე ერეკლესაც გადასწვდა და გრაფ ტოტლებენის ამბავსაც მოგვითხრობს. საიდამ სადაო? სად პეტრე დიდი და სად ერეკლე მეფე და ტოტლებენი? საქმე ის არის, რომ ბ-ნმა ეზოვმა სანეკრე დაინახა და სახტომი აღარ იკითხა და ისკუპა თქვენი მოწონებული. ერთი ჰკითხეთ, საიდამ და რისთვის ჩააკერა ისტორიული ხანა ეკატერინე დიდისა წიგნში, რომელმაც უნდა მოგვითხროს პეტრე დიდის და სომეხთა ერის საურთიერთო საქმენი? ეს ადვილად გამოსაცნობია, თუ გავიხსენიებთ ისევ იმ ალიას, რომლის დარდიც ფლავია და სხვა არაფერი. ბ-ნ ეზოვს ნიშანში ამოღებული ჰყავს ქართველი და როგორ გაუძლოს გულმა, რომ ლაფი არ დაასხას, თუ შესაძლებელია. ამ შემთხვევისათვის ტოტლებენი ძალიან საამური და სასურველი კაცია ბ-ნ ეზოვისათვის და თვით ერეკლეს ხსენებაც მიზეზს მისცემს ეს სახელოვანი მეფეც უკადრისად შეგვიქციოს.

ყველას მოეხსენება, რომ ეკატერინე დიდმა ომი დაუწყო ოსმალეთსა და ამის გამო ომში ჩასარევად მეფე ერეკლეს და იმერეთის მეფე სოლომონს დაჰპირდა, ოღონდ თქვენ მაინდამ მიესიენით ოსმალებსა და მე ჯარსა და ფულს მოგაშველებთო. მეფეებმა სიხარულით გამოუცხადეს სურვილი და ეკატერინემ გამოჰგზავნა საქართველოში ოთხი ათასი კაცი და ფული და ყოველივე ეს ჩააბარა გრაფ ტოტლებენსა. ტოტლებენი მოვიდა ჯარით და ფულით და იმის მაგიერ, რომ იმპერატრიცის ბრძანებისამებრ ერთად ემოქმედნა ქართველებთან, ცალკე გაიწია იმ აზრით, რომ ოსმალებზე გამარჯვების სახელი მარტო თვითონ დაინარჩუნოს. გააბამრავალ გვარი ქსელი ოინებისა, აურზაური დაუწყო ცალკე ერეკლეს, ცალკე სოლომონს, ერთსაცა და მეორესაც უკადრისად ექცეოდა. უღალატა ერეკლეს და ასპინძის ომის წინა დღეს გამოექცა და მერე რომ თავი ემართლებინა, ბეზღებას მიჰყო ხელი, თვით ერეკლე და მისი ქართველობა ძირიანად მოსთხარა იმპერატრიცის წინაშე.

რა კაცი იყო ეს ტოტლებენი, რა რიგად იქცეოდა, რა რიგ აწიოკებდა დიდსა და პატარასა, რა უკადრისად ეპყრობოდა მეფეებს, რა რიგად იტენდა ჯიბესა და თვით მისდა მინდობილს რუსის ჯარს უცმელ-უჭმელს ინახავდა,— ეს ყოველი ცხადია, თუ კაცი გასინჯავს იაზიკოვის დ ლვოვის ოფიციალურს წერილებს [3]) რუსეთში მიწერილებს საქართველოდამ. ყოველ ამის გამო, როგორც იქნა, ტოტლებენი აქედამ წაიყვანეს და მის მაგიერ დანიშნეს ღენერალი სუხოტინი. ამ სუხოტინმა [4]) იმავე სახით წარუდგინა იმპერატრიცას ტოტლებენის საქციელი და მოქმედება. რა კაცი იყო ეს ტოტლებენი, იქიდამაცა სჩანს, რომ იგი ავკაცობისათვის და ავ-ზნეობისათვის გამოძევებული იყო გერმანიიდამ,—თავისს სამშობლოდამ. იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულს როგორღაც შეავედრა თავი, რუსეთში განწესდა, ებოძა ღენერალ-მაიორობა და კორპუსის წინამძღოლობა. აქ მისის კორპუსის აფიცრებმა შეამჩნიეს რუსეთის გაცემა და ღალატი, დაიჭირეს და წარუდგინეს მთავრობას.

მთავრობამ რუსეთისამ სამართალში მისცა, იცნეს მოღალატედ და გამცემად და სიკვდილით დასჯა გაუჩინეს. მერე სიკვდილით დასჯა აპატიეს და განაძევეს რუსეთიდამ იმ მუქარით, რომ თუ ოდესმე რუსეთის სამფლობელოში გაჩნდება, ყველას ნება აქვს მოაკვდინოს. ამ სახით იგი განდევნილ იქმნა რუსეთიდგან 1763 წ. მთელი ექვსი წელიწადი ეთრია ეგრე ტოტლებენი რუსეთს გარედ და ბოლოს ხელ-ახლად შეავედრა თავი ეკატერინე დიდს. იმპერატრიცამ შეუნდო წინანდელი ცოდვა და ჩააბარა საქართველოში მიმავალი ჯარი. აი რა კაცთან შეემთხვა მაშინდელ საქართველოს საქმის დაჭერა.

ეს, რუსთა ოფიციალურ დოკუმენტებით, ყოვლად საძაგელი კაცი, ეს უსირცხვილო ადამიანი, მოქრთამე, მყვლეფავი, ორ გული ცრუ და მაბეზღარი იმოწმა ბ-ნმა ეზოვმა, რომ ქართველების სახელი ხელ-ახლად ლაფში ამოავლოს. აი ტოტლებენი რასა სწერს ქართველებზედაო, მოგვითხრობს ბ ნი ეზოვი: „ქართველები გაიძვერანი და ფლიდნი არიან, ანგაარნი, ბიწიერნი, გაგებაც არა აქვთ რა არის კეთილი... ქართველთაგან, მგონია, მოსალოდნელი არ არის არც ვაჟკაცობა, არც მორჩილება, რადგანაც თავისი დღენი მონაობაში გაუტარებიათ და სულ-მოკლენი შექმნილანო“. ბ ნს ეზოვს მარტო ესა სდომებია, თორემ, აკი ვამბობთ, ჯერ ეს მოწმობა ტოტლებენისა რა ხელ-საყრელია იქ, საცა საუბარია პეტრე დიდსა და სომხების ერის ურთიერთობაზე და მეორე,—რა სარწმუნო კაცი ეს ტოტლებენია, რომ გაუსინჯავად, მოუჩხრეკავად მისი მოწმობა დაუჯერებია. სხვა ყველა რიგიანი კაცი არამც თუ მოწმად არ იკადრებდა ამისთანა კაცს, ახლოც არ გაუვლიდა, რომ არა მომეცხოს რამე. აშკარაა, ბ-ნი ეზოვი ამ შემთხვევაში უშიშარი და უწუნარი რაინდი ყოფილა.

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

[3]) იხ. ალ. ცაგარელი: „Грамоты и другіе ист. док. XVIII стол. относящіеся къ Грузіи. т. I. გვერდი 180, 247, 249 და სხვანი.

[4]) იქავე: გვერდი 184.

რამ გავუძლოთ ამ ხარჯს, ხოლო წიგნის ფასს, რაც უნდა იყოს, მანეთს ნუ გადავაცილებთო.

შემდეგ თქვენა ბრძანებთ, რომ ნაკვეთის ნაწერის მაგალითები არა აქვთ სახელმძღვანელოში ჩართულიო და ასე ამბობენო: ნაკვეთის ნაწერის მაგალითებს ხშირად შეხვდებით ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნში, ვახუშტის გეოგრაფიაში, ვისრამიანშიაო. ვახუშტის გეოგრაფიისა და ვისრამიანის საძებნელად გაგზავნას ის არ ემჯობინებოდა, რომ ორიოდე მაგალითი მოეყვანათ თუნდაც „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნიდგანაო?!.

იქნება, მართლა ეგ უფრო სამჯობინარო ყოფილიყო და, იქნება აგრეც მოვიქცეთ, თუ მეორედ დაბეჭდვა ეღირსა ჩვენს წიგნს, მაგრამ ისიც-კი სათქმელია, რომ მაგ მაგალითების მოძებნა ფრიად ადვილია თვით მოსწავლეთათვის დამატებაში, სადაც დაბეჭდილია სრული თოთხმეტი იგავ-არაკი საბა-სულხან ორბელიანისა და ნაწყვეტი „ვისრამიანისა“. ვინ იცის, იქნება ხან და ხან ისასჯობდეს, რომ თვით შეგირდებმაც გასძრან გონება და თავისის ჭკუით იმოქმედონ, თავისით მოსძებნონ ადვილი მაგალითები ამა თუ იმ სალიტერატურო სტილისტიკო მოვლენისა.

ესევე ითქმის ნაწყვეტ-ნაწყვეტის ლაპარაკისა და ფრთა შეკვეცილის საუბარის შესახებ.

მართალს არ ამბობს კრიტიკოსი, როდესაც ამტკიცებს, რომ ვითომ ქართულს გრამატიკას მარტო სათავად-აზნაურო სკოლებში ასწავლიანო. ამ საგანს ასწავლიან აგრეთვე სასულიერო სემინარიებში, სასულიერო და დედათა საეპარქიო სასწავლებლებში, მეორე კლასიან საეკკლესიო სამრევლო და სამინისტრო სკოლებში და, თუ არა ვსცდებით, გორისა და ხონის საოსტატო სასწავლებლებში, აგრეთვე ტფილისის სახელოსნო და წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლებში. ნუთუ თქვენა გგონიათ, რომ შესაძლოა, თუ მოწაფეთ ქართული გრამმატიკა არ უსწავლიათ, თუ იმათ არ იციან, რა არის ეტიმოლოგია და სინტაქსისი, სიტყვიერების თეორია ასწავლოთ?!

სხვა თქვენს შენიშვნებს უყურადღებოდა ვსტოვებთ, რადგან მეტისმეტად წვრილმანია და ყოვლად უმნიშვნელო. არა ღირს კაცი მოსცდეს იმათის უარ-ყოფის დასასაბუთებლად. ვგონებ, თვით მკითხველიც ღირსეულად დააფასებდა იმ თქვენის შენიშვნების სიღრმე-სიმძიმეს. ეს ის შენიშვნებია, რომ რატომ ნიმუშები არა გაქვთ დრამისა, ტრაგედიისა და კომედიისაო. ქრისტომატიის შედგენა რა შრომაა, მხოლოდ ნიმუშები შეგიგროვებიათ და გადმოგიბეჭდიათო. ეს იმასა ჰგავს სწორედ, სომეხმა რომ უთხრა გლეხ-კაცს: დიდი საქმეა ეგ თქვენი ხვნა-თესვაო: მოხან-მოთესე, მომკე მოლეწე, მორჩა და გათავდაო. თქვენც აგრე მოგდით ბ-ნო კრიტიკოსო. სხვა სხვის ომში ბრძენიაო. ახლა თქვენი სჯობია. ახლა დიაღაც რომ უფრო ადვილია ქრისტომატიის შედგენა: პირველი ცდა თვალწინ გიდევთ და უვალი გზა ასე თუ ისე გაკვალულია. აბა, თქვენ გეძებნათ პირველად მაგალითები და ნიმუშები, მერე ისიც ჩვენში, საცა მწერალთა თხზულებათა სრული კრებულები არ არის დაბეჭდილი და ყოველივე მძიმედა სძევს დიდის ხნის ჟურნალ-გაზეთებში და მაშინ ვნახავდით, ამასვე იტყოდი თუ არა.

დასასრულ-კი ერთი რამ უნდა გკითხოთ: გვიკვირს, რატომ კეთილ არ ინებეთ და თქვენი მოწყალე ყურადღება არ მიაქციეთ ჩვენის წიგნის მთელს განყოფილებას—ქართულ ლექსთ-წყობას. ეს განყოფილება უმეტესად დამოუკიდებელი შრომაა, თითქმის საკუთარი ჩვენი გამოკვლევაა... შეცდომას თუ ეძებდით, აქ უფრო ბევრს არ იპოვიდით. გაგვისწორებდით ამ შეცდომებს და მით ჩვენც დიდად დაგვავალებდით და ჩვენს სკოლებსაც. აგერ თქვენს შემდეგ მეორე რეცენზენტმა აკი კიდეც დაგვისახელა ჩვენი შეცდომა ამ მხრივ, მღვ. მ. კელ—ძემ. დიდი მადლობელიცა ვართ პატივცემულის რეცენზენტისა მაგ შეცდომის ჩვენებისათვის, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ეგ შეცდომა პირველ გვაჩვენა ჩვენ წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, კერძოდ, რასაკვირველია, ჩვენმა მკვლევარმა ბ-ნმა თ. ჟორდანიამ.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ რეცენზენტს სრულიად არ მიუღია მხედველობაში ყოველივე ის სიძნელე, რომელიც არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ყოველს სხვასაც, გადაეღობებოდა წინ ამისთანა სახელმძღვანელოს შედგენის დროს ჩვენში. მაგალითად, ტერმინების შემუშავება, სტილისტიკისთვის შესაფერის მაგალითების მოძებნა, ქართულ ლექსთ-წყობის გარკვევა და მის კანონების დამყარება, მოძებნა მაგალითებისა და ნიმუშებისა თეორიის მეორე ნაწილში ზეპირ-სიტყვაობიდგან და სხვ.

ერთი შენიშვნაც. რა მიზეზია, ნეტავ ვიცოდეთ, რომ რეცენზენტს ასე არ უნდა, ჩვენი წიგნი სახელმძღვანელოდ იყოს ცნობილი? აქ რაღაცა არის! ვისაც ა ხან ყურნი სმენად, ისმინან!

ჩვენის წერილის დასასკვნელად ორიოდე სიტყვაც ჩვენებურ კრიტიკის შესახებ.

ჩვენში კრიტიკა ან ცამდე აყვანაა მწერლობაში მოღვაწისა ან დედამიწასთან გასწორებაა. სწორედ ისე, როგორც რუსები იტყვიან ხოლმე ასეთს კრიტიკაზედ: **или зубы выколочу или ручку пожалуйте** ო ნუ იყოფინ ესე ასრედ! კრიტიკამ უნდა გულ-დასმით განიხილოს და გაარჩიოს ნაწერი თუ ნაშრომი, ჩაუკვირდეს მის ყოველს კერძოობას, მიიღოს მხედველობაში ყოველი გარემოება, ყოველივე წვლილი და ისე დასდოს თავისი მსჯავრი ნაწერს. სხვა პირობათა გარდა, უმეტესად ყოვლისა აქ პირველი საქმე კილოა, კილო გულწრფელობისა, კეთილ-სურვილობისა, მოკეთობისა და არა მრისხანებისა, ძაგებისა, ყვედრებისა. პირველი საქმეა არა სურვილი ნაწერის გაზბილებისა, სიტყვების გადაკვრა-ნართაულობისა, გაბოროტებისა. რომელ ოქროს წვიმას აწვიმებს ჩვენში სალიტერატურო შრომა, რომ მის მტვირთველს ზედ შევასქდეთ, დავუწყოთ ლანძღვა-გინება, წუნი დავდოთ ხელ-აღებით მის ნაწერს, მის ნაჭირნახულევს და გული მოუკლათ, სიცოცხლე ჩაუშხამოთ. მერე რისთვის? იმისთვის რომ იშრომა, როგორც შეეძლო, და თან იმდენი ფულიც დაჰხარჯა თავისივე საკუთარი, რომ იქნება ნახევარიც ვერ ამოიგოს. განა აგრე ბევრია ჩვენში მუშაკი სალიტერატურო სახელისა, რომ უდიერად ვექცეოდეთ მშრომელს?! მოვიგონოთ სიტყვები დიდებულის მოციქულისა:

უკეთუ ურთიერთარს იკბინებოდეთ, უკეთუ ურთიერთარს იჭამებოდეთ, იხილეთ, რათა არა განილინეთ.

სიტყვიერების თეორიის შემდგენელნი

---

## დამაკვირდი

მჯელი საქმე ყოვლადვე სახე იყო ახლისა ამის ყოფადისა, ვითარცა აჩრდილი არსებისა მყოფისა.

სულხან საბა

***

სხვათა ნასიბრძნ-ნასიტყვსა ვკრეფდი ვითარცა კაჭკაჭი ჭრელი.

ლასურიძე

***

ცეცხლს ტალახსა თუ დაასხამ, დაივსების.

როსტომიანი

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 მარტი

**პარიჟი.** „Figaro“-ში დაბეჭდილია გალიფესი, კაზიმირ-პერიესი, ლაროშისა, პენლევისა, ლონკეტისა და გადამარის ჩვენება. გალიფემ სთქვა, რომ ესტერგაზის დამოკიდებულება უცხო ქვეყნელების წარმომადგენლებთან ყველამ იცოდაო. ის აწოდებდა იმათ ყოველგვარ ცნობას, რაც-კი სურდათ იმათო. კაზიმირ-პერიემ პირველად ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა მასთან გრაფი მიუნსტერი 1895 წლის 9 იანვარს. მიუნსტერი, ჰოგენლოეს მიერ გამოგზავნილ დეპეშის თანხმად, თხოულობდა, რომ კაზიმირ-პერიეს უარი ეყო იმ ცნობებისთვის, რომლებიც ამბობდა, რომ დრეიფუსის საქმეში გერმანიის საელჩოც არის გარეულიო. პერიემ უპასუხა, რომ პასუხის-მგებლობას ვერ ვიკისრებო; მაგრამ რადგან დეპეშა პატიოსნებას აფიცებდა, როგორც კერძო კაცს,—მან უთხრა მიუნსტერს, რომ გერმანიის საელჩოში იპოვნეს საბუთის ქაღალდი, რომელიც მთავრობას მცირედ მიაჩნია, ე. ი. ისეთად, რომელსაც გერმანიის საელჩოს გახვევა საქმეში არ შეუძლიანო. მაგრამ, საკმარისია იპოვნოს კაცმა სხვა სახელმწიფოს საელჩოში საბუთის ქაღალდი, რომელიც მიეწერების საფრანგეთის აფიცერს, რომ ეს აფიცერი დამნაშავედ იქმნას აღიარებული. გრაფმა მიუნსტერმა მოითხოვა, რომ პერიეს გადაჭრით უარი განეცხადებინა იმის შესახებ, რომ გერმანიის საელჩო არ იყო გარეული დრეიფუსის საქმეში და შენიშნა, რომ ეს უარის-ყოფა მარტო გერმანიის საელჩოს არ უნდა შეჰხებოდა. იმ წერილების არსებობა, რომლებსაც აწერენ იმპერატორს ვილჰელმს, მოწამემ გაიგო პასკალ-გროსეს შეკითხვის შემდეგ. ლაროშმა სთქვა, რომ ადმირალ დიუპერიესაგან გავიგე, ვითომც ერცჰერცოგი ვიქტორი არწმუნებდა მას, რომ გერმანიის მთავრობას არაოდეს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია დრეიფუსთანო.

**შერბურგი.** ჩრდილოეთის ესკადრა მანევრების შემდეგ აქ დაბრუნდა. „Formidabl“-დგან ლოკრუა ნაპირზედ გადმოვიდა არსენალის დასათვალიერებლად. რუსეთის ჯავშნიანმა გემმა „ჰერცოგმა ედინბურგისამ“ საფრანგეთის ბაირაღი ამართა და მიესალმა მინისტრს ზარბაზნის 19 ჯერ დაცლით. რუსეთის სამივე გემის მოსამსახურეები მიესალმა მას. „Formidabl“-მა საპასუხოდ ზარბაზნები დასცალა და რუსეთის ბაირაღი ამართა.

**ბერლინი.** გუშინდელ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, იმპერატორმა მიიწვია თავისთან ლოჟაში სავინისა და სტავინსკის ქალები, ესაუბრა მათ და დაასაჩუქრა.

**რომი.** მთავრობამ საწვეულო ბარათი მიიღო გააგის კონფერენციაზე დასასწრებლად.

**ცეტინიე.** ჩერნოგორიამ მიანდო რუსეთის დელეგატებს მისი წარმომადგენლობაც იკისრონ.

31 მარტი

**პეტერბურგი.** გაზეთ „სინ ოტეჩესტვას“ მავნე მიმართულების გამო, რომელიც განსაკუთრებულის სიმკაცრით გამოირკვა წერილში „ქალების საქმე“, და რომელიც მოთავსებულია მე-84 ნომერში; შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს გაზეთს „სინ ოტეჩესტვა“-ს პირველი გაფრთხილება.

**ბუხარესტი.** სტურძამ თხოვნა მიართვა მეფეს კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომის შესახებ. მეფემ სთხოვა მინისტრებს, დარჩით ახალ კაბინეტის შედგენამდეო.

**სევასტოპოლი.** მიწის ამოსაღებმა მანქანამ ამოათრია სევასტოპოლის ერთ-ერთ ნავთსადგურში ძველი ინგლისური ყუმბარა, რომელიც, გასქდა ერთი კაცი მოჰკლა და რამდენიმე დასჭრა და დააყრუა.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“ უარს ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც „ფიგაროს“ რედაქციას დოსიე დელკასესაგან მიეღოს. გამოძიების ორი ტომი, რომელიც დელკასეს გაეგზავნა, მაშინვე პოლიტიკურ დეპარტამენტს გარდაეცა შესანახად, ამა თანავე იმ პირობებით, რომელნიც ყოველგვარ გაუფრთხილებლობას შეუძლოდ ჰყოფს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. მაკ ლინიმ იკითხა: იმის გამო, რომ უკანასკნელი სადგურები ინდოეთისა და საშუალო აზიის გზებისა სულ რამდენიმე ას ინგლისურ მილის მანძილზედ იქმნება იმის შემდეგ, როცა განზრახული რკინის გზა გაიყვანება ორენბურგიდგან სამარყანდამდე, არ შეიძლება პირდაპირი რკინის გზის მიმოსვლა გაიმართოს შეუწყვეტლად კალედგან კალკუტამდეო. ბალფურმა უპასუხა, რომ ეს საგანი უფრო ვრცლად უნდა გამოირკვესო. მეო, სთქვა ბალფურმა, არ შემიძლიან გაუწყოთ მთავრობის პოლიტიკა ამ საგნის შესახებო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა განაცხადა: ლაკონორისგან ამბავი მივიღეთო, რომ პორტამ იმის გამო, რომ რამდენჯერმე წინადადება მივეცით მას ბრძანება გაუგზავნა ადგილობრივ უფროსებს ხელ ახლა გახსნან სომეხთა თავშესაფარი პალუს, კიუპუსპ და დიარბეკირში. ობოლთა თავშესაფარი ზეითუნში არ ყოფილა დახურული. პორტამ დაგვარწმუნა, რომ დანაშთენ ობოლთა თავშესაფარებს არ შეეხებიო. გადახვეწილ სომხების რუსეთიდგან გამოძევების შესახებ მთავრობამ გაიგო, რომ იმათი ძალით დასახლების შესახებ მათს სამშობლოში არავითარი ღონისძიება არ იქნება მიღებული; რუსეთის მთავრობას მოლაპარაკება აქვს ოსმალეთის მთავრობასთან, რომ როცა სომხები დაბრუნდებიან ოსმალეთში, უზრუნველყოფილი იქმნას მათი სიცოცხლეო.

**რომი** პაპამ კარდინალები მიიღო დღეს, რომელთაც სიტყვა უთხრა. თავისს სიტყვაში პირველად მადლობა შესწირა უფალს, რომ ჯანმრთელობა დაუბრუნა მას, და შემდეგ გადავიდა რუსეთის იმპერატორის წინადადებაზედ შეიარაღების შემცირების შესახებ. პაპამ სთქვა, რომ სიხარულით ვეგებები ამ საქმეს და ვისურვებ, რომ სულგრძელ განზრახვას მშვენიერი ნაყოფი მოეტანოს მთელის ქვეყნისათვისო.

**მადრიდი.** გენერალი მერჩი, რომელმაც პოლავიეხის უკადრის სიტყვებით აღსავსე წერილი გაუგზავნა, დატუსაღებულ იქმნა.

კარლისტების აგიტაციის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, ჟანდარმერია გავიდა ცუმარჟუიდგან ანტგურიტის მთის დასაჭერად.

**პარიჟი.** „Figaro“-ში დაბეჭდილია გენერალ გონზის ჩვენება. გენერალი იმ აზრის არის, რომ მხოლოდ დრეიფუსს შეეძლო გაეცა ის საბუთები, რომელნიც ბორდეროში ჩამოთვლილიო. ამასთანავე ის უარს ამბობს ჩვენების მიცემაზედ სამხედრო სასამართლოსათვის საიდუმლო დოსიეს გარდაცემის შესახებ. მოწმე ჰფიქრობს, რომ საკასაციო სასამართლოსათვის სასარგებლო იქნებოდა პანიცარდის დეპეშა გაეცნოვო, და აცხადებს, რომ მე არა ვიცოდი-რა, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ესტერგაზს მთავარ შტაბთანო.

პეტერბურგის ბირჟა, 30 მარტი

| | მყიდველისა | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი გ[illegible]ბის ფურც-[illegible] სახელმწიფო [illegible] დ-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | 221 | |
| $3^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 95⅝ | | — | „ | — | „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | | — | „ | | |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | | — | „ | — | „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | 100 | | — | „ | — | „ |
| $4^1/_2$% იმავე ბანკისა | — | „ | 100 | | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — | „ | — | „ | 100 | |
| $4^1/_2$% იმავე საზოგადოებისა. . . | — | „ | 98⅜ | | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | „ | — | „ | 286 | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | 253 | | — | „ | — | „ |

---

Дозволено цензурою, Тифлисъ 31-го Марта 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.